



გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

31. 03. 2011

ლანდა ხანიაშვილის შესახებ

1. 2010-2011 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრიდან შიდა მოძრაობით, სპეციალობის შეცვლის მიზნით, პირადი განცხადებების საფუძველზე, უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილობის დებულების მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ლანდა ხანიაშვილი მედიცინის სკოლის სტომატოლოგიის სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის პირველი დონიდან გადაყვანილ იქნეს, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფსიქოლოგიის სპეციალობის შესაბამის დონეზე.
2. დაევალოს მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების ოფისს (ნათია ტაბატაძე) 5 დღის ვადაში უზრუნველყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტუდენტთა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანა.
3. დაევალოს უნივერსიტეტის ვებ გვერდის მართვის ოფისს (დავით ბიკოევი) 5 დღის ვადაში შეიტანოს შესაბამისი შესწორება ვებ გვერდის მონაცემთა ბაზაში.
4. განკარგულება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და საინფორმაციო დაფებზე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი,
პროფესორი

მამუკა თავხელიძე